საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდი, III მიკრორაიონის, III კვარტლის, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.02.013.208) მრავალბინიანი (მრავალფუნქციური) სახლი №2-ის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდი, III მიკრორაიონის, III კვარტლის, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.02.013.208) მრავალბინიანი (მრავალფუნქციური) სახლი №2-ის კორექტირებული პროექტი შედგება : 4 ნაწილობრივ მიწისქვეშა და 20 მიწისზედა სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექნიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა - 8 ბალი

2. ქარის დატვირთვა 50 კგძ/მ^2

3. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 70 კგძ/მ^2

საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rcn=145 კგძ/კვ.სმ

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს საძირკვლის რკინაბეტონის მონოლითური ფილს H=1.2, H=0.8 მ. და 1.2 მ. დიამეტრის 73ც. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ერთობლიობა. (კორექტირებამდე ხიმინჯების რაოდენობა ტოლი იყო 50ც-ის)

სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 40 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური კარკასი, სვეტები (60X117, 120X125, 120X120, 120X175, 120X190, 50X175, 50X100, 50X80,

50X70, 50X60, 50X50, 50X40, 30X40, 30X30, 20X50, 50X30, 20X20) სმ, რიგელები - (50X70, 40X70, 30X70, 20X20) სმ,

რკინაბეტონის მონოლითური ფილა (H=20-18 სმ).

კიბეები - რკინაბეტონის მონოლითური.

ქვაბულის ფერდის და არსებული გზის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია 1.0 მ. დიამეტრის, 18 მ. სიგრძის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდა.

კორექტირებამდე პროექტი შედგებოდა : 2 ნაწილობრივ მიწისქვეშა ავტოფარეხის, 1 ნაწილობრივ მიწისქვეშა რეკრიაციული სივრცის, 1 მიწისზედა კომერციულის, 3 საოფისე სართულის და 12 საცხოვრებელი სართულისაგან.

საძირკვლის ფუძედ მიღებული იყო ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rcn=145 კგძ/კვ.სმ

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენდა საძირკვლის რკინაბეტონის მონოლითური ფილს H=1.0 მ და 1.0 მ. დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ერთობლიობა.

სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 40-30 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციად გამოყენებული იყო რკინაბეტონის მონოლითური კარკასი, სვეტები (90X50, 80X50, 70X50, 60X50, 50X50) სმ, რიგელები - (50X60, 40X60) სმ,

შენობის და ქვაბულის ფერდის კონსტრუქციული გაანგარიშება შესრულებულია გამოთვილითი კომპლექს : "Lira sapr 2016" -ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია

გადაადგილებებში. (გაანგარიშებები შესრულებულია საინჟინრო გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების საფუძველზე).

პროექტი შესრულებულია მაღალ-პროფესიულ დონეზე, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატივების დაცვით და ეძლევა ცალსახად დადებითი საექსპერტო შეფასება.

საკონსტრუქტორო განყოფილების

მთავარი სპეციალისტი გ. რეხვიაშვილი

29.05.2023 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდი, III მიკრორაიონის, III კვარტლის, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ ნაკვეთი (ს.კ. 01.14.02.013.208) მრავალბინიანი მრავალფუნქციური სახლის (სახლი №2)-ის მომიჯნავედ განთავსებული (ს.კ. 01.14.02.013.147) და (ს.კ. 01.14.02.013.019) შენობა-ნაგებობების მდგრადობის

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდი, III მიკრორაიონის, III კვარტლის, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ (ს.კ. 01.14.02.013.208) მრავალბინიანი (მრავალფუნქციური) სახლი №2-ის პროექტი შედგება : 4 ნაწილობრივ მიწისქვეშა და 20 მიწისზედა სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექნიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა - 8 ბალი

2. ქარის დატვირთვა 50 კგძ/მ^2

3. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 70 კგძ/მ^2

საძირკვლის ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rcn=145 კგძ/კვ.სმ

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს საძირკვლის რკინაბეტონის მონოლითური ფილს H=1.2, H=0.8 მ. და 1.2 მ. დიამეტრის 73ც. ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ერთობლიობა.

სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 40 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური კარკასი, სვეტები (60X117, 120X125, 120X120, 120X175, 120X190, 50X175, 50X100, 50X80,

50X70, 50X60, 50X50, 50X40, 30X40, 30X30, 20X50, 50X30, 20X20) სმ, რიგელები - (50X70, 40X70, 30X70, 20X20) სმ,

რკინაბეტონის მონოლითური ფილა (H=20-18 სმ).

კიბეები - რკინაბეტონის მონოლითური.

ქვაბულის ფერდის და არსებული გზის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია 1.0 მ. დიამეტრის, 18 მ. სიგრძის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდა.

შენობის და ქვაბულის ფერდის კონსტრუქციული გაანგარიშება შესრულებულია გამოთვლითი კომპლექს : "Lira sapr 2016" -ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

პროექტი შესრულებულია მაღალ-პროფესიულ დონეზე, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატივების დაცვით და ეძლევა ცალსახად დადებითი შეფასება.

საპროექტო შენობის სამხრეთით (ს.კ. 01.14.02.013.147) განთავსებულია 1 სართულიანი ავტოფარეხები, რომლის საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს ლენტური საძირკველი, ხოლო მზიდ კონსტრუქციად გამოყენებულია კომპლექსური კონსტრუქცია (მონოლითური სვეტები, მონოლითური კედლები და რკინაბეტონის სარტყლები) გადახურვის კონსტრუქციად გამოყენებულია ღრუტანიანი ანაკრები რკინაბეტონის მონოლითური ფენილები.

(ს.კ. 01.14.02.013.019) განთავსებულია 9 სართულიანი ნახევარ სარდაფით საცხოვრებელი სახლი

9 სართულიანი ნაგებობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს ანაკრები საკედლე ბლოკების და სასარტყელო ბლოკების ერთობლიობა, გადახურვის კონსტრუქციად გამოყენებულია ღრუტანიანი ფენილები, ხოლო საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური ლენტური საძირკველი.

ზემოთ ნახსენები საპროექტო შენობის ქვაბულის ფერდის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მოწყობილი მონოლითური რკინაბეტონის ხიმინჯების ფარდა, რომელიც ცალსახად უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე გზის და ნაგებობების მდგრადობას, როგორც მშენებლობის პროცესში ასევე მისი ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ.

საპროექტო ნაკვეთის (ს.კ. 01.14.02.013.208) მიმდებარედ ნაკვეთის (ს.კ. 01.14.02.013.147) (ს.კ. 01.14.02.013.019) მომიჯნავედ დამთავრებულია შეთანხმებული მონოლითური საყრდენი კედლის მშენებლობა, რომელიც ასევე დამატებით ცალსახად უზრუნველყოფს მომიჯნავე ნაგებობების მდგრადობას, როგორც საპროექტო ნაგებობის მშენებლობის პროცესში ასევე მისი ექსპლუატაციის შესვლის შემდეგ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდებარე ნაგებობების მდგრადობა, როგორც თეორიულად ასევე პრაქტიკულად ცალსახად უზრუნველყოფილია.

საკონსტრუქტორო განყოფილების

მთავარი სპეციალისტი გ. რეხვიაშვილი

29.05.2023 წ